ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3172071

ნომერი: AR1486253

თარიღი : 14.03.2017

გაცემის თარიღი : 03.04.2017

გაცნობის თარიღი : 03.04.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იმედაძის N47 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა უჩანეიშვილი , N 47 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა უჩანეიშვილი , N 47 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ნებიერიძე პ/ნ 01024015271
- თბილისი თ.ნადარეიშვილის ქ. N 22

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2017 წლის 14 მარტის NAR1486253 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, იმედაძის ქ. N47 და უჩანეიშვილის ქ. N47-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: NN01.14.08.009.011, 01.14.08.009.029, 01.14.08.009.028) შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებას, გაცნობებთ, რომ 2015 წლის 28 ივლისის N312 განკარგულების მოქმედება შეჩერებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 11 მარტის განჩინებით. განჩინება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში და მოთხოვნილია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება (ანუ 2015 წლის 28 ივლისის N312 განკარგულების მოქმედების შეჩერების გაუქმება). წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ ირკვევა დაკმაყოფილდა თუ არა კერძო საჩივარი, გამომდინარე აქედან იმისათვის, რომ არქიტექტურის სამსახურს მიეცეს შესაძლებლობა განიხილოს თქვენს დაინტერესებაში არსებული საკითხი, საჭიროა წარმოადგინოთ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge